საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერიძე ლევან გიორგის ძე

ბერიძე ლევან გიორგის ძე (დ. 26. VIII. 1933, თბილისი,), არქიტექტორი. არქიტექტურის კანდიდატი (1973).

დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტი (1958). მუშაობდა საცხოვრებელი სახლების დაპროექტების საკავშირო ცენტრალური ინ-ტის საქართვ. ფილიალში (1958–64), ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1964 – 74); იყო საქართვ. განათლების სამინისტროს საპროექტო ბიუროს მთავარი არქიტექტორი (1974 – 89). 1973-იდან ეწეოდა პედ. საქმიანობას.

განხორციელებული ნაგებობები: ურიგელო კარკასიანი ექსპერ. საცხოვრებელი სახლი თბილისში, მესამე მასივში (1973; თ. ქრისტესაშვილთან ერთად, თანაავტორი რ. ბოკუჩავა; კონსტრუქტორები მ. მარჯანიშვილი, გ. ჭანუყვაძე), ქართული საშ. სკოლა ბიჭვინთაში (1977; რ. პავლიაშვილთან ერთად); მასწავლებელთა დახელოვნების ინ-ტი ცხინვალში (1985; თ. ჩილინგარაშვილთან ერთად), საშ. სკოლა სოფ. ხერთვისში (1985; საქართვ. I არქიტექტურული ბიენალეს ლაურეატი, 1985); სპეცსკოლა-ინტერნატი სმენადაქვეითებულ ბავშვთათვის თბილისში (1984; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1987) და სხვ. მისი სამეცნ.-კვლ. მუშაობის ძირითადი სფეროა არქიტ. და კლიმატის ურთიერთგავლენა. ავტორია მრავალი სამეცნ. შრომისა და რამდენიმე სახელმძღვანელოსი.

თხზ.: Руководство по учету инсоляции и солнцезащите жилых зданий в условиях Закавказья, [Тб.,] 1982 (თანაავტ. Н. Ш. Хидашели).